ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თეა ჯუღელის ანგარიში მიმდინარე

მოწვევის 2021 წლის დეკემბრის თვიდან დღემდე გაწეული სამუშაოს

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, მოაწყოს საჯარო შეხვედრა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების და საჯაროობის პრინციპის დაცვის გამოხატულებაა ჩემი , როგორც საკრებულოს წევრის და ამავდროულად საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარება გაწეული საქმიანობის შესახებ.

კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის შესახებ. საზოგადოების მხრიდან გამოხატული ნდობა გვაკისრებს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის წინაშე.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია ხუთი კომისია. იურიდიული კომისია საქმიანობას წარმართავს კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად. მოწვევის პერიოდში, რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით მე, როგორც საკრებულოს წევრმა და ამასთანავე კომისიის თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა

და საკრებულოს კომისიების სხდომებში. ასევე აქტიურად ვარ ჩართული გენდერული საბჭოს საქმიანობაში.

კერძოდ:

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის 19 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა 66 .
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 9 სხდომა, განხილული საკითხების რაოდენობა 11 .

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო. ჩაშლილი ან გადადებული არ ყოფილა არც ერთი სხდომა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია , რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მის უფლებამოსილებას . განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა გავლილი ერთი წელი იმ თვალსაზრისით რომ საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების იმპლემენტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამოქმედო საკანონმდებლო აქტებში და შემდგომი აღსრულება ახალ გამოწვევებსა და სამართლებრივ პრაქტიკას ამკვიდრებს, რაც ნაყოფიერს და საინტერესოს ხდის საქმიანობას .

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს 19 სხდომა, განხილული აქვს 66 საკითხი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით მომზადებული აქვს 65 დასკვნა და ერთი წარდგინება. დეტალურად აქვს განხილული როგორც ინდივიდუალური, ასევე, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი მხარე, მათი შესაბამისობა მოქმედი კანონმდებლობის ნორმებთან. კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობასა და კონტროლს. კომისიის მიერ, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს

სხდომებზე განსახილველად წარდგენილ იქნა 12 საკითხი. მათ შორის, საკრებულოს ზოგიერთი წევრის (დ.აბულაძე, ლ.სანიკიძე) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და მათი ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრების (კ.გურული, ჯ.ბიბილეიშვილი) უფლებამოსილების ცნობის თაობაზე; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ; საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების შესახებ საკრებულოს შესაბამის განკარგულებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე; საკრებულოს ფრაქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვ.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ საკითხთაგან მინდა გამოვყო საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნის განხილვის საკითხი. მიმდინარე წლის იანვარში, იურიდიულ საკითხთა კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს წევრთა ერთმა ნაწილმა საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ დაფუძნების შესახებ საკითხის განხილვის მოთხოვნით. კომისიამ ფრაქციის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, განიხილა ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30–ე მუხლის მოთხოვნებთან. გამომდინარე იქედან, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია, საკრებულოში კი, უკვე რეგისტრირებული იყო პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრებისაგან შემდგარი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ახალი ფრაქციის შექმნის მსურველთა ორი წევრი აღნიშნული პოლიტიკური პარტიით იყვნენ საკრებულოს წევრებად წარდგენილი, კომისია მოკლებული იყო შესაძლებლობას მიეღო დადებითი გადაწყვეტილება აღნიშნულ ფრაქციასთან დაკავშირებით. კომისიამ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ახალი ფრაქციის შექმნის შესახებ მიიღო უარყოფითი დასკვნა, რომლის თაობაზეც იმსჯელა ბიუროს შესაბამისმა სხდომამ. საკითხის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიის დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ, მიმდინარე წლის 26 იანვარს, მიიღო განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთობა ქუთაისისათვის“ შექმნაზე უარის თქმის შესახებ“. სასამართლომ განიხილა რა, ამ ფრაქციის წევრთა სარჩელი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად მიღებული საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის, იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის, საკრებულოს

ბიუროს, საკრებულოსა და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომებზე კანონის დაცვით გამართული პროცედურების გათვალისწინებით, საკრებულოს აპარატის შესაბამისი განყოფილებების (სამდივნო, ადმინისტრაციული) მიერ შედგენილი საკრებულოს ბიუროს, საკრებულოსა და იურიდიულ საკითხთა კომისიის ოქმების საფუძველზე მომზადებული შესაგებელიდან (იურიდიული განყოფილება) გამომდინარე, მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

იურიდიულ საკითხთა კომისია მომავალშიც ააქტიურად განაგრძობს ს საქმიანობას სამართლებრივი მიმართულებით, რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სამართლებრივი ხასიათის ხარვეზების გამორიცხვას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიღებული აქტების მაღალკვალიფიციურ დონეზე გამოცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, ინტენსიური მუშაობა გასწია საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით იწვევდა ანგარიშვალდებულ ორგანოებს, რომლებიც საკითხის დეტალურად განხილვისა და მასზე შემდგომი მსჯელობის მიზნით კომისიის შემადგენლობას წარმოუდგენდა ინფორმაციას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ, მოთხოვნილ საკითხებთან დაკავშირებით, არაუფლებამოსილების მითითებით წერილის უკან დაბრუნება არ მომხდარა. კომისიის მიერ, ხდება წერილის გადამისამართება უფლებამოსილ ორგანოში და ამის თაობაზე, ადრესატთან ცნობის გაგზავნა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2021 წლის 23 დეკემბერს კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად, რომელშიც აისახა კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები, დამტკიცდა სხდომაზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი.

როგორც კომისიის წევრი ჩართული ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის საქმიანობაში.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ამასთანავე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის საქმინობის ძირითადი პრიორიტეტებია: თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა აქტიური ჩართვის უზრუნველყოფა. საზოგადოებისათვის ძირითადი პრობლემატური, აქტუალური, სამართლებრივი საკითხების შესწავლისას, წინადადებებისა და პროექტების შემუშავება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში საკრებულოში შემდგომი რეაგირებისათვის საკითხის დაყენება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი